რა პასუხები შეიძლება გავცეთ ბავშვებს, თუ გვკითხავენ კრიპტო აქტივებთან დაკავშირებით

2 მთავარი მესიჯი, რაც უნდა მივაწოდოთ ბავშვებს, არის:

1. კრიპტო აქტივი - არ არის ფული, არ არის ვალუტა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელით არის გავრცელებული

2. კრიპტო აქტივებში თანხის ჩადება - ძალიან სარისკოა!

ქვემოთ მოცემულია დაახლოებითი, განვრცობილი პასუხები, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ ბავშვებისთვის ასახსნელად

- **რა არის კრიპტო აქტივი?**

მიუხედავად იმისა, რომ კრიპტო აქტივს ხშირად ელექტრონულ ფულად, კრიპტოვალუტად მოიხსენიებენ ხოლმე, სინამდვილეში ის ფული საერთოდ არაა.

ალბათ მკითხავთ, თუ ფული არაა, როგორ იყენებენ რიგ შემთხვევაში მას ყიდვის და ურთიერთ გადაცვლის საშუალებად საერთაშორისო პლატფორმებზე? ისტორიიდან (ჩვენი გაკვეთილებიდან) გახსოვთ, რომ ოდესღაც ადამიანები ამავე მიზნით სხვადასხვა საქონელს იყენებდნენ, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ამას ადამიანების გარკვეული ჯგუფი იყენებდა და მას ახლა ფულს ვერ ვუწოდებთ. ცხვრებსაც ამრავლებდნენ (როგორც ახლა კრიპტო აქტივების მანინგიც ხდება), ცხვრებსაც იყენებდნენ სხვა საქონლის შესაძენად, ცხვრების ყიდვის ძალაც შესაძლოა სხვადასხვაგვარი ყოფილიყო, მაგრამ ის რეალურად ფული არ იყო. თანამედროვე სამყაროში, როცა ტექნოლოგიები განვითარდა, ადამიანებმაც შეცვალეს „ცხვრები“ სხვადასხვა, რეალურად ვირტუალური/ელექტრონული ანალოგებით. ამიტომ მოდი ასე ვთქვათ, კრიპტო აქტივები არის არა ფული, არამედ ვირტუალური ანუ წარმოსახვითი ცხვრები და ნამდვილი ცხვრისგან განსხვავებით, შეიძლება ერთ დღესაც აღმოვაჩინოთ, რომ ის სულაც არ არსებობს ☺

- **რა უნდა გავითვალისწინოთ იმისთვის რომ ფინანსები არ დავკარგოთ კრიპტო აქტივების შეძენისას?**

ინტერნეტში ძალიან ბევრი საუბრობს იმაზე, რომ კრიპტო აქტივის შეძენით ვიღაცა ძალიან გამდიდრდა, ამიტომ მას ხშირად ადარებენ ინვესტიციას, მიუხედავად იმისა, რომ არავინ ვიცით საბოლოოდ, რამდენად ნამდვილია ეს ისტორიები.

რა შემიძლია მე გითხრათ/გირჩიოთ? ჩვენ მთლად არ ვეთანხმებით მიდგომას, რომ კრიპტო აქტივი, ინვესტიციაა ანუ ფულის დაბანდება მისგან მოგების მიღების მიზნით, თუმცა მოდი მაინც ვთქვათ ინვესტიციასთან დაკავშირებულ 3 ოქროს წესზე:

(1) რაც უფრო მაღალ მოგებას გვპირდება ინვესტიცია, უნდა ვიცოდეთ, რომ ის, როგორც წესი, უფრო მაღალ რისკსაც უკავშირდება

(2) უნდა ვიცოდეთ, ვინ გვიცავს ფულადი დანაკარგებისაგან, რამდენად სანდოა ის ორგანიზაცია, რომელსაც ვანდობთ ჩვენს ფულს
(3) არ უნდა გავრისკოთ იმდენით, რამდენიც რომ დავკარგოთ, ძალიან გვაზარალოს

ზოგადად, ადამიანებს ძალიან გვახასიათებს ფულის მარტივად შოვნის ან უცებ მაღალი მოგების ცდუნებაზე წამოგება, მაგრამ თქვენ, როგორც გონიერ ახალგაზრდები, თუ მაინც ჩათვლით, რომ გარისკვა გიღირთ, წაგებისთვისაც მზად იყავით.

როგორც ვთქვით, კრიპტო აქტივები საბოლოოდ ვირტუალურად , არაფრისგან გაჩენილი „წარმოსახვითი ცხვარია“, შეუძლებელია მისი ფასი უსასრულოდ და უბრალოდ იზრდებოდეს. ბუშტი, რომელიც ჰაერით იბერება ოდესმე აუცილებლად გასკდება.

თუ მხოლოდ ბედს უნდა მივენდოთ, ისევ და ისევ მესამე ოქროს წესი უნდა გვახსოვდეს და თუ მისაღებია ჩვენთვის გარისკვა, გავრისკოთ მინიმალურად. დავუსვათ საკუთარ თავს შეკითხვა - რა თანხის დაკარგვა არ მიმაჩნია არაფრად? ეს ზუსტად ის თანხაა, რომელსაც არ ღირს გადააჭარბოთ, თუ მაინც ფიქრობთ გარისკვას.